სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ქ. თბილისი

21 დეკემბერი 2023 წელი

სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 18 ივლისის N 896882 ბრძანების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N 1

სხდომას ესწრებოდნენ:

ნანა ჭოჭუა - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;

ია ძებისაური – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის უფროსი;

ირინე სადრაძე – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების ჯგუფის უფროსი;

ირაკლი რობაქიძე - – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის ლოჯისტიკის ჯგუფის უფროსი;

როსტომ თოლორდავა - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის მთავარი ბუღალტერი;

ზურაბი ხეცურიანი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების მენეჯერი.

სხდომას არ ესწრებოდა:

ნიკო გიგოლაშვილი – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების მთავარი სპეციალისტი.

დღის წესრიგი:

1. სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება;
2. ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე (NAT) ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცება.

განიხილეს:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა სატენდერო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების (CPV 66500000 - სადაზღვევო, საპენსიო მომსახურებები) სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში მოძიებულ იქნა კომპანიები, ვისაც შესაძლოა ინტერესი გამოეხატა აღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებით. მეილი გავუგზავნეთ კვლევაში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით შესაბამისი წერილი და დოკუმენტაცია სხვადასხვა კომპანიებს, საბოლოოდ ბაზრის კვლევისას დაინტერესება გამოხატა ორმა პოტენციურმა მიმწოდებელმა, რომლებმაც წარმოადგინა შემდეგი ღირებულებები:

1.პოტენციური მომწოდებელი I, - 1 დაზღვეული პერსონის სადაზღვევო პრემია თვეზე 50.00 (ორმოცდაათი) ლარი.
2.პოტენციური მომწოდებელი II - 1 დაზღვეული პერსონის სადაზღვევო პრემია თვეზე 75.00 (სამოცდათხუთმეტი) ლარი.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს სატენდერო დოკუმენტაციითა და განცხადებით განსაზღვრული პირობების ირგვლივ. სატენდერო კომისიამ მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ტენდერის სავარაუდო ღირებულება განისაზღვროს 15000.00 (თხუთმეტიათასი) ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს:

სატენდერო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი სახით სატენდერო განცხადება და დოკუმენტაცია მისაღებია.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია და განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ.
2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს ორი სამუშაო დღის ვადაში სატენდერო განცხადების და დოკუმენტაციის განთავსების უზრუნველყოფა www.procurement.gov.ge-ზე.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: ნანა ჭოჭუა -

სატენდერო კომისიის წევრები:

ია ძებისაური -

როსტომ თოლორდავა -

ირინე სადრაძე -

ირაკლი რობაქიძე -

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: ზურაბი ხეცურიანი -